სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება
#20-030117-01

ქ. თბილისი, 3 იანვარი, 2017 წ.

ერთის მხრივ, შპს "გარდაბნის თბოსადგური" (შემდგომში – "შემსყიდველი"), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მერაბ კიპაროიძის სახით, და მეორეს მხრივ, შპს „სი-ტი პარკი" (შემდგომში - „მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „შემსყიდველის" ბალანსზე არსებული 2 (ორი) ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის („Suzuki S Cross GL+" სახ. ნომ MM-902-GG და მიცუბიში, პიკაპი „L-200" სახ. ნომ. MM-292-GG) ქ. თბილისის მასშტაბით ერთწლიანი პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება, (CPV 98351110, შემდგომში - "მომსახურება").

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

2.1 პარკირების მომსახურება 2 (ორი) ერთეული.

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 100.00 (ასი) ლარს.

3. მომსახურების ვადა, მომსახურეობის გაწევისა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1 „მიმწოდებლის" მიერ მომსახურება (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება, „შემსყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად „მიმწოდებლის" ანგარიშზე თანხის დარიცხვიდან – ერთი წლის ვადით.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

3.3. „მომსახურების" მიღებისთანავე „მიმწოდებელს" და „შემსყიდველს" შორის ფორმდება მომსახურეობის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირები.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1 მომსახურების ანაზღაურება მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

5.2. „მიმწოდებელთან" დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად "შემსყიდველისთვის" იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად, რომელიც იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).

6.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის

შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.
6.3. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. "შემსყიდველს" ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელონ "მომსახურების" კონტროლი და/ან შეამოწმონ, სრულად არის თუ არა გაწეული "მომსახურება".
7.2. "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებისა და მისი დანართების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს "შემსყიდველის" მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
7.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
7.3.1. მომსახურების მოცულობის, ხარისისხისა და გაწევის ვადების წინადებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;
7.3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;
7.3.3. საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა;
7.3.4. წინამდებარე ხელშეკრულების ეფექტური შესრულების მიზნით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.
7.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს ინსპექტირების ჯგუფი შემოწმების ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.
7.5. ყოველი გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს".

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. „შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათავალისწინებული პირობებითა და ოდენობით;
8.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.
8.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
8.4. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.
8.5 მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მას მისი გამოსწორება (რაც შეტყობინების სახით ეგზავნება მეორე მხარეს), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში (რაც შეტყობინების სახით ეგზავნება მეორე მხარეს), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და დააკისროს მხარეს "მომსახურების" ღირებულების ოდენობის ჯარიმა.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 25 თებერვლამდე.
10.2. ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ძალაში რჩება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

11. დასკვნითი დებულებები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლარად.
11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლის, პუნქტის ან/და დებულების ბათილად ან/და ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანარჩენი მუხლების, პუნქტების ან/და დებულებების ნამდვილობაზე.
11.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით.
11.4. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადაო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
11.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
შპს "გარდაბნის თბოსადგური 2"
მის: ქ.გარდაბანი, დ.აღმაშენებლის 2 ბ
ს/კ: 426529759
ბანკი: სს „ტერა ბანკი“,
ბ/კ: TEBAGE22
ა/ა: GE43 KS00 0000 0340 3000 02

გენერალური დირექტორი **მ. კიპაროიძე**

„მიმწოდებელი"
შპს „სი-ტი პარკი"
საიდენტიფიკაციო კოდი 204543770
ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47
ტელ: 2-555-123
ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ
ბ/კ REPLGE22
ა/ა №GE90BR0000010608618945

გენერალური მენეჯერი **ბ. ლაჰავ**

GEORGIA "CT PARK" LTD 204543770

შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ს

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. გარდაბანი 03.01.2017 წ.

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა, შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-სა და შპს „სი-ტი პარკ“-ს შორის 2017 წლის 3 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №20-030117-01-ის გაფორმება არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

გენერალური დირექტორი მ. კიპაროიძე